ფრაქცია ,,პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარე- ირაკლი ახობაძე

მოგესალმებით და მოხარული ვარ, რომ ბიუჯეტი გაიზარდა ერთი მილიონით, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის მართლაც მნიშვნელოვანია. ჩემი მოხსენება იქნება 2015-2016 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებული შენიშვნები, რაზეც პასუხი ჯერ ვერ მივიღე.

2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში, რომელიც დამტკიცებულია, ნაჩვენებია, რომ საკუთარი შემოსავლებიდან ნაშთის ცვლილება 3, 2 ათასი ლარით გაიზარდა, ხოლო 2014 წლის ნაშთი წლის დასაწყიში იყო 38, 086 ათასი ლარი, ანუ ნაშთი 2014 წლის ბოლოსთვის არის 41, 286 ათასი ლარი. საინტერესოა, 2015 წლის პირველი იანვრისთვის საბიუჯეტო სახსრების თავისუფალი ნაშთი 68, 1 ათასი ლარი როგორ აღმოჩნდა?

დამტკიცებული ბიუჯეტიდან ირკვევა, რომ საკუთარი შემოსავლებიდან 81, 3 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერების დეფიციტის შესავსებადაა გათვალისწინებული. ე.ი 2015 წლის თავისუფალი ნაშთი ყოფილა 149, 4 ათასი ლარი, რაც გაურკვეველია. გთხოვთ განმარტებას.

ასევე 09. 02. 2015 წლის საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნებული ,, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის #60 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“, სახელმწიფო ფონდების ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან დეფიციტის შესავსებად იყო 220, 6 ათასი ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლების დეფიციტისთვის 101, 4 ათასი ლარი, რაც (ხელფასების ზრდისთვის) გამოყოფილი იყო. ეს თანხა საერთოდ არ არის ასახული, გაურკვეველია.

გაურკვეველია 7, 8 ათასი ლარის გამოყოფა ახლა წინა წლის ვალდებულების დასაფარად. (დაზუსტებისთვის ეს ვალდებულება გადახდილია წინა კვარტალში).

თუ გვქონდა თავისუფალი ნაშთი 68, 1 ათასი ლარი, რატომ 05. 11. 2015 წლის საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის 160 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“, ცვლილებაში არ მივმართეთ ეს თანხა ა(ა).ი.პ- ების სუბსიდირებაზე.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას და ა(ა).ი.პ ახალგაზრდული ცენტრი ,,პროგრესის“ დაფინანსება არ შეესაბამება სოციალური პროგრამების მუხლს (მუხლი 13).

2015 წლის დამტკიცებული ბიუჯეტთან შედარებით 2016 წლის ბიუჯეტი შემცირებულია 315, 7 ათასი ლარით. სხვა შემოსავლები 600, 7 ათასი ლარით. ხარჯები გაზრდილია 332, 1 ათასი ლარით, რაც არ შეესაბამება განმარტებით ბარათში მოცემულ მონაცემებს.

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები და საკუთარი შემოსავლები არ ბალანსდება. მიზნობრივიდან დეფიციტი 533, 8 ათასი ლარი. გაურკვეველია რატომ ვიხდით დეფიციტის შესავსებად საკუთარი შემოსავლებიდან 292, 7 ათასი ლარს.

09. 02 2015 წლის ცვლილების შესახებ (საკანონმდებლო მაცნე) მიზნობრივი დეფიციტის შესავსებად იყო 220, 6 ათასი ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლების დეფიციტისთვის 101, 4 ათასი ლარი, რაც (ხელფასების ზრდისთვის) რატომ არ ჩაისვა ეს თანხები 2015 წლის გეგმაში?

თქვენ მიერ მოწოდებული მონაცემებიდან ირკვევა, რომ ნაშთი მთლიანად იქნება ათვისებული 2015 წელს, საინტერესოა, 2016 წელს 20, 0 ათასი ლარი საიდან გაქვთ?

გაურკვეველია ნაშთის ცვლილებები (მუხლი 2).

ფუნქციონალური კოდი 70 112 ფინანსური და ფისკალური საქმიანობა სრულად არ არის ასახული.

სარეზერვო ფონდი გაზრდილია 36 ათასი ლარით.

საკრებულოს მიერ დადგენილ წესში არ არის საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების და ა(ა)იპ ახალგაზრდული ცენტრის ,,პროგრესის“ დაფინანსება.

ა(ა)იპ-ებისთვის დაფინანსებები დეფიციტურად არის დაგეგმილი.

არ არის წარმოდგენილი საბიუჯეტო კოდექსის მუხლი 77; პუნქტი 10; გ) ქვეპუნქტის მოთხოვნები.